

ს ვ ა ლ ი



საქართველო და სალიტერატურო ნახატიანი გაზეთი. გამომდის ყოველ კვირა ღამს.

№ 38.

სამბთებარი 12, 1893 წ.

№ 38.

შინადასა:—გლოვა ნესტან-დარეჯანისა, ლექსი ჩებრიშელის პირელისა.—შუაგული სახელმწიფო XX-სა.—სიმღერა, ლექსი ბაჩანასი.—ტბეთის ეკლესია, ლევანდა ჭრისტეფორე ზემოიშერელისა.—მისი უწმინდესობა უზენაესი პატრიარქი და კათალიკოსი ყოველთა სომეხთა მკრტინ ხრეშიანი—დ. ტა.—ცისა—* * * ლექსი ბაჩანასი.—ანაკონდა ე—ლისა.—* * * ლექსი ბაჩანასი.—ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა გ. წერეთლისა.—კრედიტი და მისი მნიშვნელობა გრ. გველესიანისა.—სახუმარო გასართობი.—სამი კაცის ფასი ყვეელი, თარგმანი ელიკოსი.

კ ლ ო ვ ა

ნესტან-დარეჯანისა

(ძველი ამბავი)

რომ ჩემის მღერით აღზნული რაყიფი ტარიელობდეს; ქაჯთა ებრძოდეს ლომ-კაცი. ნესტანისათვის ხელობდეს*.

აკაცი

I

ნირის ნესტან-დარეჯანი ქაჯთ ციხეში დამწყვედული და ტარიელს შეეღასა თხოვს, გამზრდელისგან გაწირული: თვალ-უწყედნელს ციხეში ვარ, ეზივარ მარტოდ შევაპვეული და სრემლსა ეღერი გულ-ამოსკენით, სამშობლოს მოწორებული. მზე ვარსკვლავებს ეღარ ეზიდავ, არ ანათებს ჩემთვის მივარე, აღზრდილს თავისუფლებასი გულს გონება მიქნენს მწარე. ქაჯებს ცხოვრების მიზნად აქვსთ, სიცრუე და ჩაგვრა სხვისა,

თუმცა სიტყვით უყვართ მცნება ძმობისა და ერთობისა.

არც აქვთ სხვაზედ მეტი ჭკუა, არც აზრი და არცა სწავლა;

მაგრამ ხელში უჭერიათ აღმართისა მხენელი ძალა.

ისინი მას მიწუნებენ,

რაც ძვირფასი არს ჩემთვისა, რასაც მუდამ თაყყანს ესცემენ

და ესცემ მსგავსად ლეთაგისა, ძალიან სურთ დაწყვედილებს

ამირიონ გზა-დაკვალი, თავის სჯულზედ მაქორწინონ,

დამიკარგონ მომავალი, მათებურად მაკიკეკონ,

ულეთოდ გულში მკრან ლახერი, არცა მომკლან; არც მაცოცხლონ

და მამყოფონ ცოცხალ-მკვდარი. ნეტაე მაინც მექნას რაჲ

მძიმე დანაშაულობა!

რა ცოდვაა მამულისა სიყვარული, წმიდა გრძობა?! თვითონ იცი, მე შემკვიდრეს

ინდოეთის ხელმწიფისა
საქმობაც ჩემის ტომის მსურდა,
ჩემისავე მიწა-წყლისა.
ბავშობიდან თან-შეზრდილი,
მქონდა შენი სიყვარული
და ამიტომ, ტარიელო,
საქმობდ მყავდი დასახული.
ხამს მიჯნურს და სატირის შორის
არსებობდეს სიყვარული,
შეაერთონ აზრი აზრთან,
სული-სულთან, გულთან-გული.
რა მოვიდა სპარსთ მეფის ძე,
ჩემსა საქმობდ მოწვეული,
მამისაგან ჩემს უნებრად,
მწარედ ამიღელდა გული.

გადავწყვიტე: უშჯობესი
არის საქმობა—სპარსი მოკვდეს,
ეინემ სპარსთა ბატონობით
ინდოეთი გადაგვარდეს.
გამეცნე ჩემი ზეაშიადი,
ჩემი ფიქრი, გულის ძებრა,
და სპარს საქმობს შენმა მკლავმან
გაუტყუდა ბედისწერა.
მას უკანა ჩვენ ორივე
მოგიძულეს და გავგვირეს
და სამშობლო საყვარელი
მინც მტრებმა დაიჭირეს.
ჯვარსა ეცვა იქ სიმართლე
და ვამეფდა ბოროტება
და გონებით დაჩაგრული
ინდოეთი იწვის, დნება.
დღეს, ტარიელ, შენსკენა რბის
ნაღლით საესე ჩემი გული,
და მამხნევეს ტყვეობითა
დაჩაგრულსა სიყვარული.
ისღა მითობს გაყინულს სულს
საღმრთო მადლით ბნელს ციხეში
და, თუ მოკვდი აქედლადა,
თან ჩაეიტან სამარეში.
ტარიელო, გულის სწორო,
რადას უცდი, გეწაცეალე?!
მოდ, მიხსენ ქაჯთ ხელიდან,
ისიც კმარა, რაც ეიწეალე!
ასე სტირის დარეჯანი
ქაჯთ ციხეში დამწყვდელი
და ტარიელს შეელასა თხოეს,
გამზრდელისგან გაწირული.

II

ტარიელი უმეგობროდ
უცხოეთში დარბის ხელი

და ამ სიტყვებს გაიძახის
თვალთგან სისხლის ცრემლის მღვრელი:
„დღეს თხოვე ცასა შემწეობას,
ვარსკვლავებსა, მზეს და მთვარეს.
მთასა, ბარსა, ბილიკებსა,
ზღვას ნაქადულს და მდინარეს.
ხშირად ობლად წყლის პირს ეჯდები
ჩაფლული შავი ფიქრთ გროვამი;
და დამკვიტრის საიდუმლო
ნაღლით გონიერი რაში.
ყურს ეუგდებ რა მდინარის ხმას,
თვალთგან ეღვირ ცრემლს მღვლარესა,
შენთვის ეტირი, ჩემო ნესტან,
და ეინატრი სამარესა.
აღარ ეიცო დღე და ღამე,
არც ზაღუელი, არც ზამთარი;
უმეგობროდ ეიარები;
არც სახლი მექეს და არც კარი.
მზისა სხივი, მთვარის შუქი
მე შეგბენლათ მეჩენება
და ყვავილი ეაქაცობის
მისის ვარსავით სჭენება.
ხშირად, როცა ნახი მთვარე
დღეამიწას თავს დაცქერის,
და ბულბულიც თავის ვარდას
სიყვარულის ხმებს უმღერის,
მე შეგბედის დამაწყევლარს
არც კი მომდის თვალზედ რული,
და ეინატრი შენს ნახვასა
უშენობით დალაბრული.
ხშირად ეხედაე შენს აზრდოსა,
ჩემ წინ მდგომსა, პოლიმარეს,
დაევიწყებ იმის ნახვით,
ოხერასა და ბედსა მწარეს.
მეუბნება, როცა პირივლად
გავიციხად სიყვარული,
მე შენი ვარ სიკელიამდე,
შენთვის მიტვერს ჩემი გული.
ეერ შემეცვალა ტყვეობამან,
მე იგივე ვარ, რაც ვიყავი;
მაგარს გულსა ვერა გასატეს
ეცრაოდეს ბედი შავი.
მე ერთი მიჩნს მიჯნურადა,
ერთი მივის საყვარელი:
შვილი ჩემის მიწა-წყლისა,
გმირთა გმირი ტარიელი.
თუ სხვას მიეცე ჩემი სახე,
თუ სხვას ვაჟყვებს შენი მთვარე,
ცამ შემრისხოს, მეტი დამცეს,
გამეთხაროს მსწარულ სამარე...“


გულის კენესა, სულის გმინე
 მე ამ დროსა მიქარედება,
 ჩემს გარშემო და გლახ გულში
 დამკვიდრებს ნეტარება.
 მაგრამ, ეა! მალე ჰქრება
 სიტკბო ამა ჩიენებისა:
 თურმე იგი ნაყოფია
 ავით-მყოფის ოცნებისა.
 ჰქრება... და კვლავ ჩემს გარშემო
 სუფევს კენესა და სიცილილი,
 თავს ძირს ეახლი ქვითინითა
 შეე-ბედით გულ-გააობილი.
 მაგრამ მტირალს ყოველთვისა
 გამამხნევებს რალაც ძალი
 და აწმყოში დატანჯულსა
 მრწამს ბრწყინვალე მოამეალი.
 მრწამს, ნესტანო, გამოგისნი
 ქაჯთ ციხეში დამწყედელსა,
 კვლავ ეიხილავ თვეისუფალს
 სამშობლოს, დღეს დაჩაგრულსა.
 მაგრამ სატრფო, გონაურნი
 ხამს არაადეს არ აჩქარდეს,
 რაცა სჯობდეს; მოაგვარას,
 საწუთროსა დაუწუნარდეს.
 ხამს კაცა არ შეუშინდეს
 მოწვეწულსა გასჭარას;
 ჭირსს შეგან გამაგრება
 ისე უნდა ვით ქვითკარსა.
 მას იმხნევე, დარეჯანო,
 გამოგისსნი... დროს მოველი.
 თან მრწამს, ბოროტს კეთილად სძლეგს,
 მისა არსება გრძელად.

III

ტირის ნესტან-დარეჯანი
 ქაჯთ ციხეში დამწყედელი
 და ტარიელს შევლასა თხოვს
 გამზრდელისგან გაწირული,
 ტირის, მაგრამ არ მოუტკაღეს
 ჯერ იმედი—სასოება,
 ევედრება მართლ მსაჯულს ღმერთს,
 მისგან შევლას ელოდება.
 ამბობენ, რომ ხშირად ნესტანს
 ანგელოზი ეცხადება

და ციხისა ბნელს წყვილიდში
 ამ სიტყვებსა ეუბნება:
 „არ უნახავს ტარიელსა
 ჯერ თავისი მეგობარი,
 ძმად-ნაფიცი ავთანდილი,
 ღონით დევთან შესადარი.
 როს მას ნახავს, ტარიელი
 გამხნევდება დღეს გულ-წყულლი,
 წავა სატრფოს დასახსნელად
 იმისთვის თვე-დადებული.
 ორიე გმირნი გოლიათნი
 დაანგრევენ ქაჯთ ციხესა
 და ისხნიან ტყვეობიდან
 უტურფესა მშეთა-მშესა.
 ავთანდილის დახმარებით
 ის ზარს დასცემს მტერსა თავზედ,
 მამულს გაათვისუფლებს,
 ავა მამა-პაპის ტახტზედ;
 და მასუკან იქორწინებს
 ტარიელი გმირთა-გმირი,
 შეეცელება სიხარულად
 მას დღინის ვასაქირი.
 და ერთხმონად ანგელოსნი,
 ცის მნათობნი, მთა და მდელი
 მაშინ ტკბილად დამღერებენ:
 „ეაშა, ეაშა, ტარიელი!
 ბარაქაღა გმირთა გმირო,
 სატრფოსთვის თვე-დადებულო!
 ეაშა შენცა, ავთანდილო,
 მეგობრისთვის გაწირულო!
 არ უნახავს ჯერეთ იმას
 თვის ერთგული მეგობარი,
 ძმად ნაფიცი ავთანდილი,
 ღონით დევთან შესადარი:
 ამისათვის ეერა ბედავს
 შენს შევლასა ტარიელი,
 და მტირალი სისხლის ცრემლით
 იგი ევლად დარბის ხელი!“

ილ. ჩხეტიმელისპირელი.



შუაგული სახელმწიფო

შიაში ახლა იწყება ისეთი მოძრაობა, რომელიც უმეტესად გავლენას იქონიებს მთელ კაცობრიობის ცხოვრებაზე: ჩინეთი რომლის სიზარმაცე ანდაზად არის გადაქცეული, ნელ-

ნელა იღვიძებს. ამდენ ხანს ეს „ცას ქვეშეთი საბამებლო“ სთელიდა თავის განათლებას უმაღლესად, მაგრამ მრავალმა შეჯახებამ ევროპიელებთან დაუმტკიცა მას წინააღმდეგი. არც ერთის ბრძოლიდან ისინი გამარჯვებულნი არ გამოსულან. ევროპის უმჯობესება აშკარად გამოჩნდა, როცა მათ ევროპიელებ-

მა ამჟამისა და უსურის ქვეყნები წაართვის 1860 წელს. ჩინეთს ძალა-უნებურად უნდა კარი გავლა ევროპეოლებისათვის თავის ნათესადგურებში. ინდოჩინეთშიც ბევრჯერ აზივნეს ევროპეოლებმა თავის ვანათლების ძალა. მეტი ღონე არ იყო, ჩინელები ან უნდა დამოარჩილებოდნენ მძლავრს ერს, ან და იმათი სახელმწიფო უნდა განადგურებულიყო. ჩინელებმა არჩიეს ეს უკანასკნელი. მათ ღრმად ჩაიხვიეს გულში სიძულვილი ევროპეოლებისადმი და მიიბატყეს უსხო ქვეყნელები, რომელთაც მიანდევს ახალი სწავლავანათლების შემოღება. ახალ მოსულ მასწავლებლებს შორის უმეტესს ნაწილს შეადგენენ ნემცები და ინგლისელები, აგრეთვე ფრანგები და ამერიკელები. ყველა ისინი გულსმოდგინეთ შეუდგნენ მიწოდებლ საქმეს და რასაკვირველია პირველადვე მეტი ყურადღება სამხედრო ნაწილს მიჰქცის. ცოცხა ხნის განმავლობაში ჩინეთში გაიშარათ მრავალი ზარბაზნებისა და სამხედრო იარაღის ჩამოსასხმელი და თოფის წამლის ქარხნები, ციხეები, საომარი გემები და აგრეთვე რკინის გზაც.

ყველაფერი ეს ძალიან საშიშია ევროპისათვის. როცა 400 მილიონი ჩინელი შეიარაღებული და საომართა გამზადებული იქნება, ვინ იცის, იქნება მან ჩინგის ხანის დროც გამოვრდეს.

კიდევ უფრო ვასაფრთხოებელი იქნება ჩინეთი მეორე მხრით. როცა იქ შამოილებენ ევროპულ წეს-წყობილებას, ბევრი ჩინელი უსაქმურათ დარჩება; ამის გამო უმეტესი ნაწილი ამ უკანასკნელებისა, რასაკვირველია, ევროპაში ვადმოსახლება და ყოველ ხელოვნებას ადვილათ მოიგდება ხელში; მართლა და სად შეუძლია ევროპეოს შეედაროს ჩინელს, რომელსაც სარჩით დღეში ერთი მუტე ბრინჯი ყოფნის. როცა ხელოვნება მათ ხელში ჩავარდება, რასაკვირველია, ფულიც მათ ექნება, და ამ გვართა ჩინელები გაბატონდებიან და შესაძლებელია კდმც დაიჯანონ ევროპელები.


საფრანგეთში ზოგიერთი ნაწილი კიდევაც ფიქროფს ამას; ამერიკაში და აესტრალიაში კი ვადა-

წყვიტეს. არც ერთი ჩინელი ჩვენში არ შემოუშვათა. ჩვენდა სანუგეშოა უნდა დამატოთ, რომ ეს საშიში დრო ჯერ კიდევ შორს არის. გონებით წარმატება ისეც ძნელია დავამ წინ ნაბიჯს და ჩინეთში ხომ სულ გვიანობს, რადგანაც იქ ხალხი ოთხი ათასი წელიწადი სულ უწინდელ მდგომარეობაში რჩებოდა. ახალი წეს-წყობილების მომხრე ძალიან ცოცხა; ყოველი ჩინელი ევროპელს ისე „ბარბაროსათ“ სთვლის და გაკვირებით შესტკერის. ერთი ევროპელი, სახელად შილდერი, რომელიც ჩინეთის სამსახურში შევიდა მათი ჯარის გასაწერთნელად, აი რას გვიამბობს: გამოეჩნდა თუ არა ჩემი ამხანაგებიანა ქალაქის ოფნანის ქუჩაზე, მაშინვე შემოგვეხვიენ მრავალი ჩინელი, რომელნიც გაკვირებით შეგეტკეროდნენ. ხალხი ისე მოგაწევა, რომ ძლიერ მივალწიეთ ჩვენ სადგამთან, მაგრამ ცნობის მოყვარე ჩინელებმა არც ამ მოგვიხვენეს: ისინი ადიოდნენ სახლის სახურავებზედ, ფანჯრებზედ და იქიდან შეგეტკეროდნენ. გაჯარებულმა ევროპელებმა წააუღეს ხელი თოფებს და ამითი, როგორც იქნა, მოიცილეს ჟინიანი ჩინელები. მეორე დღეს ისეც ამ გვარი შემთხვევა მოხდა, მაგრამ ასე კი აღარ გათავდა.

შილდერი მხატვარი იყო. მან მოინდომა ქალაქის გადახატვა, ავიდა ერთ მაღლობზედ, დაჯდა დიდ ნაძვის ჩრდილში და დაიწყო ხატვა.

ჩინელები ურდოთ შემოხვიენ გარშემო და სიამოვნებით თვალს ადევნებდენ მის მუშაობას. ბოლოს შილდერმა ველარ შესძლო ხატვა. მისმა ამხანაგებმა აიღეს ხელში კეტები და დაუწყეს ცემა ჩინელებს; ჩინელებმა აღარ მოითმინეს. სტაცეს ხელი დანებს და მივარდნენ უხედურს შილდერს. ამ უკანასკნელმა ამოიღო რევოლვერი, მიეყუდა ნაძვის და დაიწყო სროლა, მაგრამ რას აუედილა გამხეტებულ ჩინელებს. ბოლოს მხატვარი ცოცხალ მკვდარი დაცეა ძირს და ვაი მისი ბრალი, რომ ამ დროს არ მოსწრებოდა ქალაქიდან საშველით ჯარი. შილდერი ვადარჩა სიყვილის, მაგრამ მას აქეთ ქალაქს გარეთ თუ წაედილოდა, უსათუოთ შეიარაღებულ ჯარის თან წაიხრდა.

XX



ს ი მ ლ ე რ ა

მ ელერსები, შეეხარი
 დილას ამოსელას მზისასა.
 მეტავი ვერ შევსწრობი
 დამარცხებასა მტრისასა?

გავლითებოდეს ქარველსა,
 ედას ჰფერავდეს ხმლისასა,
 ნათელი ვადაპლიოდეს
 ლაყვარდს ივერის ცისასა.

ტბეთის ეკლესია

(შორაპნის მახრამში)

მდინარის ძირულის პირზედ, სურამის მთის მალ-ლობათ მდებარეობს ხუნევის სასოფლო საზოგადოება, რომელიც შედგება ექვსი სოფლისაგან. ამ საზოგადოებაში არის ერთი, ცოტათ თუ ბევრათ, შესანიშნავი ეკლესია, როგორც არხოლოვების მხრივ, ისე ლევანდის მხრივაც.

ამ ეკლესიას ჰქვია სახელოთ ტბეთის წმიდის გიორგის ეკლესია და აგებულია ყრუ მთაში. არ ეიცო, ეს სახელი იმ სახელოვანის ტბეთის ეკლესიის პატივისცემით დაურქმევიათ, რომელიც არსებობს შვეშეთსა, თუ ერთშეთში, თუ ახლო მდებარის ერთი პატარა ტბისა გამო, რომელიც ქვაბი უჭროა, ეინემ ტბა.

ხალხის ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ტბეთის ეკლესია ააშენა თამარ-დედოფალმაო. აი, როგორ აუშენებია თამარს ეს ეკლესია. თავის, ხალხის თქმით, ჩვეულებათ ჰქონდა მოგზაურობა თვის სამეფოს დასათავლიერებლათ. სადაც კი გაჩერდებოდა ერთი ღღე მიანიც, უძველესათ ეკლესია უნდა აეგო: ხუროთმოძღვრები თან დაჰყავდა; ჯარი, რომელიც თან დაჰყავდა, მუშადაც იყო ჭხელს უწყობდა ამშენებელთ ქვის, კირის და სხვა მასალის ზიდვით, თან ახლდა აგრეთვე ებისკოპოზები, რომელნიც ეკლესიის დამთავრებასთანავე აკურთხებდნენ; ასე რომ ეკლესია ერთ ღღეს შენდებოდა. მეორე ღღეს ამ ეკლესიაში თამარი წირვას მოისმენდა და გაუღებებოდა გზას. ერთხელ თამარს გამოუვლია ჩვენსკენ და მოუწოდებია ეკლესიის აშენება ერთ მალად სერზედ მთაში. მოუტანინებია ქვა და სხვა საჭირო მასალა; დაუწყიათ შენება, მაგრამ ცოტას რომ ააშენებდნენ, კვლავი ინგროდენ, კიდევ დაიწყებდნენ შენებას, კიდევ დაინგროდა. არ იქნა და არა, ეერ ააშენეს ეკლესია. მერე ერთმა მხლებელთაგანმა სიხმარი ნახა, რომ შეებათ კურობები ურემში, დაედვათ ამ ურემზედ სასაძირკვლე ქვები. ეს კურობები იმდენ ხანს უნდა ეტარებინათ, სანამ არ დაეცემოდნენ დედამწიხრედ და არ მოჰკვდებოდნენ. ამ ადგილზედ უნდა აეშენებიათ ეკლესია.—მართლაც ასე მოიქცენ: შეებას კურობები, რომელიც დაიხოცენ იმ ადგილზედ, სადაც ახლა ტბეთის ეკლესიაა.

ამ ნაირათ ეკლესია ერთ ადგილზედ ეერ ააშენეს; ახლა იქ დაიწყეს შენება, სადაც კურობები დაიხოცენ. გაამწკრივეს კაცები ამ ადგილიდან მახლობელ მდინარემდ (ორი ეერსის მანძილზედ).

მდინარის პირზედ მდგომი იღებდა ქვას, აძლევდა მეორეს, მეორე-მესამეს, ეს კიდევ შემდეგს... და ამ რიგათ ქვა გროვებოდა მდინარიდან ორი ეერსის სიშორეზედ.

იმ ადგილას კი, სადაც უწინ უნდა აეშენებიათ ეკლესია, ღღესაც ნაკლები ქვაა. აქ არის შევაროელი, მართალიც, ქვა. ეს ადგილი წმინდა ხალხის თვალში ასე, რომ ოციოდენ ხე იყო აქ ამოსული, გარეშეშეშე მინდორია და ხალხი ამ ბოლოს დრომდის ეერ ბედავდა იმათ მოქრას.

ასე მოგვითხრობს ხალხი ამ ეკლესიის აშენებაზედ. იქნება ამ ლევანდარულ მოთხრობაში ზოგი მართალიც იყოს, მე არ ეიცო; ეს კი მართალია: ეკლესია ძველია, რასაც მოწმობს ძველებური ხმლები, სხვა-და-სხვა ნაირი ისრები, მშვილდები, რომელნიც ინახებიან ამ ეკლესიაში.

ტბეთის წმ. გიორგის ეკლესია ხალხის თვალში ძლიერე ეკლესიაა. როდესაც მართალი კაცი საქმეს წააგებს ხოლმე ახლანდელ „სულდებში“, წაუდა თაეის მოპირდაპირეს მსაჯულებიანა ვადაცემს ხოლმე ტბეთის წმ. გიორგის ხატზედ. მართალი კაცი დარწმუნებულია, რომ წმ. გიორგი მიქეშაგება მას. ხშირად მას იმედი არ გაუტყრუებდა ხოლმე; იმის უსამართლოთ დამამაგრელის რაიმე ხიფათს ის მიაწერს წმ. გიორგის მასზედ წყრობას; წაუდა დაალოცვინებს თავს თაეის მოპირდაპირეს...

ხალხში თქმა იყო, ტბეთის წმ. გიორგი კარებს არ იყენებსო: რამდენჯერმე ააგეს და არ დაიყენა კარიო, მაგრამ ამ ბოლოს დროს კი იყენებს. ხალხი ამ რაბს კიდევ, რომ ტბეთის ეკლესიასთან ვაშეშეშეშეული ქათამი უდენებლათ ცხოვრებს უპატრონათაო, მაგრამ წყეულმა მელამ ეჭვი დაგვიბადა ამ აზრის სიმართლზედ. რაც ქათამი გაუშვეს ამ ეკლესიის სიახლოვეს, სულ ერთიანათ შვეკვა.

ტბეთის ეკლესია მდებარეობს სოფელზედ მოშორებით ორ ეერსზედ, და როგორც ზვეითაც ეთქვით, ყრუ მთაშია. ამ ეკლესიის გარეშეშეშე იმისთანა მალალი ხეგია, კაცს ეგონება, ცას ებჯინებიაო. იქნება ბუნების საღიადეს ჰქონდეს გაუენვა იმაზედ, რომ ხალხს მოკრახული შეხედულობა აქვს ამ ეკლესიაზედ: კაცს, ნამეტნავათ გაუნათლებელს, რაღაც შიში აიტანს ხოლმე, როდესაც ამ მიყრუებულ მთაში გაიედის; უზარმაზარი ტყე სიჩუმით არის მოცული, ხან-და-ხან ფრინველი თუ ვადეკუხუხებს. კაცს ეშინია თუ ნადირისა, თუ შაენე სულისა. აი, ამ ნაირ გრამობის ზედაკვლენით კაცის იმედი წმ. გიორგის ეკლესიაა, რომელიც თითქმის განგებ აუ-

გია ამ მივიარდნილ ადგილს ბრწყინვალე დედოფალს თამარს.

ამ ეკლესიის სახელობაზედ ერთი დღეობაც იცან, რომელსაც ჰქვია ტბეთობა. იმ ეკლესიაზედ ამ დღეს დიდ-ძალი ხალხი იკრიბება შესაწირათ, ღამის სათევით, სალოცვათ. ზოგი ჩოქით უელის გარს ამ ეკლესიის, ზოგი ფეხ-შიშველი, ზოგი სანთელს წირავს,

ზოგი ფულს, ცხვარს, ქათამს ღვიძლს და სხ. ნაწირეებს ეს ამოდენა ხალხი დაჯდება ეკლესიის გარეშე-მო ტყეში; შეიქნება ლევის სმა და მზიარულდება... დაიწყებენ ქართლს (ქართული სიმღერა ჰქვია სულელის, რომელიც იქნან ქართლში) და რომელიც ამ მთავრ რაღაც უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს კაცზედ...

ქრისტეფორე-ზემოიმიერელი



მისი უწინდესობა უშენაფსი პატრიარქი და კათალიკოსი ყოველთა სომხეთა მკატბრ ხრიშიანი

აბა, მხნე მუშაე, შენაი ხარი, კალა მხალ არის ვასალეფადა, მოკიხბლავდა ის ნეტარი დღე კეთილის თესლის შესაკრებადა...
ჩაფთვი.

(დასასრული *)

III

ეს ოსმალეთის ომს შემდეგ 1878 წ. მოხდა ბერლინის კონგრესი. იმ დროს კონსტანტინეპოლის სომხების პატრიარქად იყო ნერსეს ვარჟაპეტაიანი; იმან განიზრახა კონგრესისტების წინაშე წარსდგინა ოსმალეთში სომხეთის გაქირებულნი მდგომარეობა. ასეთი დიდი საქმე მხოლოდ ხრიშიანს შეეძლო თავს ედებ; ამის გამო 1878 წ. მარტის 8-ში ხრიშიან გაემგზავრა ევროპისკენ; მოიარა ევროპის შესანიშნავი ქალაქები, იყო რომში, ვენაში, პარიჟში, ლონდონში და ბერლინში; აქ ის გაეცნო ძლიერს ბისმარკს და რუსეთის ფონს გორჩაკოვს. ამითი დახმარებით მან წარუდგინა ევროპის წარმომადგენლებს სომხეთის მუშუხარება ოსმალეთის მძლავრობის გამო და ითხოვდა, რომ ევროპის მფარველობა გაეწია ქრისტიანი სომხეთის ხალხისათვის ისე, როგორც ბოლგარელებს პატრონობდა რუსეთი. კონგრესმა პატრიარქისკენით მოუსმინა ხრიშიანს მისი სათხოვარი და ბერლინის მორაიების პირობაში შეიტანა 61 მუხლი, რომლის ძალითაც ოსმალეთს ვალად დასდეს შეეტანა სომხეთის მხარეში პოლიტიკური ცვლილება, მიეცა მათთვის თვით გამეგობა და დაეხსნა იგინი ვადსახლებულ ჩერქეზების და ქურთების ხელიდან. ამასთანავე თვით უდევდა ევროპის სახელმწიფოებს თვალყური უნდა ედებინათ, რომ ოსმალეთს ბეჭეთად აესრულებინა დანაპირები სომხეთის შესახებ.

1879 წელს ხრიშიანი დაბრუნდა ქ. ვანში ათის წლის მგზავრობას შემდეგ. იმ დროს დიდი სიმშვილი

იყო ვასპურაკანში; ოსმალეთის მთავრობა სრულე-ბით ყურადღებას არ აქცევდა ამ უბედურს შემთხვევას. ამ დროს ხრიშიანმა დიდი მხნობა გამოიჩინა. მან მისცა შედევითი დამწეულებს: სომხებს, ქურთებს და ოსმალეთს მცხოვრებს თანასწორად.

სიმშვილის დროს მან დაიბარა შორეულ ქვეყნებიდან პური დამწეულთათვის, მაგრამ მისი ქველ-მოქმედება ამით არ ვათავებულა. შიმშილობამ ცხადად დაანახვა ყველას, რომ საქირო იყო მიწის მოვლის გაუმჯობესობა. ამ მიზნით იმან ევრაგის მონასტერში დააარსა სამეურნეო სკოლა. ესრეთი სკოლა პირველი დაწესებულება იყო სომხეთში.

1885 წელს მართველობის ბრძანებით ხრიშიანი იძულებული იყო დაეცვო ვასპურაკანი და წასულიყო კონსტანტინეპოლში, ხუანქარს გადაწყვიტა, ხრიშიანი მოეშორებინა თავის ქვეყნიდან, რადგან ატყობდა, რომ ეს ერთი კაცი სულს უფდამდა ხომხეთის ერის თავისუფალს გრძობას.

ხრიშიანი კონსტანტინეპოლში დარჩა ექვსი წელიწადი, როგორც სამშობლო ქვეყნიდან ერთი განძეებული ვინმე. მაგრამ იქაც იყვენ სომხეთის შეილები, რომელთაც, როგორც ცხერის ფრას, ესმოდათ თავიანთი მწყემსის ხმა; რისთვისაც უმადლესმა ოსმალეთის მთავრობამ საქიროდ დაინახა ხრიშიანის კიდელ უფრო შორს განძეება და უბრძანა მას, რომ წასულიყო იერუსალიმს. 1891 წ. ხრიშიანი გაემგზავრა წმიდა ქალაქისკენ და თავის კათალიკოსობამდე იქ დარჩა.

ხრიშიანი იჯდა პატარა სამლოცველოში, თითქოს ტუსალად და ფიქრობდა თავის ხალხზე, თავის საყვარელ სომხის ერზედ. აი, რა უთქვამს ხრიშიანს უკანასკნელ დროს ერთის მისის წახველისათვის: „მე ვიცი, სამშობლოს ნატერა სიკეთეს არ დამწყრის. გული მისკდება, როდესაც მოვიკანებ, ვი თუ ისე მოკვლევ ამ უტყობ ქვეყანაში, სამშობლო ვედარ ენახოვო“. შემდეგ კოტათ გულს დაი-მშვიდებდა და წყარად იტყობდა ხოლომე: „არწივი მწყურის ბადეში ჩაუბამთ, არა უშავს რა, ესეც გაი-ვლის...“

*) იხილეთ „კვილის“ მე-37 №-რი.

მართლაც ხრიმიანის სურვილი ასრულდა, არ-
წივმა გახია მწყერის ბაღე და გამოფრინდა თავის
ვიწრო გალიიდან... სომხის ერმა არ დასტოვა ხრი-
მიანი უცხო ქვეყანაში უპატრონოთ. იგი აღარჩაეს
ერთხმად უზუნაესს პატრიარქ-კათალიკოსად სრულიად
სომხეთისა და დაამკვიდრეს სომხეთის გულში, წმინ-
და ენაძიანში, რომ ამ ძლიერს არწივს თავის ფრთებ
ქვეშ მოეგროვებინა მთელი სომხის ერი.

IV

ხრიმიანი თანამედროვე ნიჭიერი მწერალიც არის.
მრაველი მისი თხზულება დასტამბულია სომხურს
ენაზედ.

1876 წლიდან ხრიმიანმა დაიწყო თავისი თხზუ-
ლებების გამოცემა.

ხრიმიანს აქვს დაწერილი ერთი პაწია წიგნი:
„ცის სასუფეველის მარგალიტი.“ ეს არის მათეს სახა-
რების რამდენიმე თავის განმარტება, სადაც ავტო-
რი ხსნის სახარების ქადაგების ძალას. იმავე წელს
გამოვიდა ერთი შეწეიერი თხზულება, რომელშიაც
სჩანს ხრიმიანის ღრმა ქრისტიანული გრძნობა. ამ
წიგნის სათაურია „ჯვარის სიტყვა.“

1877 წ. ხრიმიანმა გამოსცა „სომხეთის ოჯა-
ხობა“, რომელშიაც ამტკიცებს, რომ საცა ბედნიე-
რი ოჯახობაა, —ის არის საშობის ოჯახი. ეს თხზუ-
ლება ოთხჯერ არის დასტამბული.

„სამოთხის ოჯახობას“ შემდეგ გამოსცა „ზირა-
ქი და სამუელი“, ეკ არის კეთილი მამის დაბრუნება
თავის შვილისა, რომელიც ცხოვრებაში ახლად ფეხს
იღვაძს. ზირაქი —თითონ ხრიმიანია, სამუელი კი —
სომხის ერია. ესეც ოთხჯერ არის დასტამბული.

ზემოხსენებულ თხზულებებს გარდა ხრიმიანს
დაუწერია შემდეგი თხზულებანიც: „ენის შეცხადე-
ბა“, სადაც იგი გოდებს ენის ქალაქის ერის უბე-
დურებას, რომელიც დაზარალდა, როცა ენის ქა-
ლაქს ცეცხლი წავიკოდა. „სომხის შეცხადება“, სა-
დაც იგი გოდებს ალაშქერტში და ბაგრაქიანში და-
ხოცილ სომხებსა.

ამ თხზულებათა გარდა ხრიმიანს სხვა თხზულე-
ბებიც აქვს დასტამბული; აგრეთვე მზათაც აქვს გამო-
საცემად სხვა მრავალი ხელთნაწერი და ახლაც და-
უსვენებლივ სწერს.

ხრიმიანი ღრმა აზრის პოეტიცა.

როგორც ფილოსოფოსი, ხრიმიანი საცეცა წარმა-
ტების მიმდევრი აზრებით და თვისებებით.


როგორც პოეტი, ხრიმიანი ძალიან იდეალისტია.
ის იდეალისტი იყო 25 წლის ჰაბუკობის დროს,
იდეალისტი დარჩა მოხუცების დროსაც, როდესაც
თეთრმა ქალარამ დათოვა მისი კეთილშობილი
შუბლი.

მისი თხზულებათა ყოველი სტრიქონი, მისი
მოღვაწეობისა და შრომისა ყოველი ნაბიჯი, ერთი
სიტყუით მისი მთელი არსება გამაქვალულია ღრმა
სარწმუნოებით; სიყვარულით და მოძაღლის ამე-
დათ.

იმან არ იცის ან შეუი რა არის, ან სასო-
წარგეთოდება. აი, ამაშია ამ გმირის უძრეველი
ზნუნობითი ძალა, რომლის შეგუხერა ვერ შეიძლო
ვერც ციხემ, ვერც გესლიანმა საღვდლოების ურტე-
მა დეენულებამ.

ამ სახით ხრიმიანი არის გატორციელებული
წარმომადგენელი თავის ერის სარწმუნოებას, იმე-
დასა და სიყვარულისა...

დ. ტ. — ანკი.



* * *
ა ნ ა კ ო ნ დ ა

(წყლის ბაღეშაი)

ბ აზღე მოდიან წერონი
მწყრივდა ჯარის-ჯარადა...
ვერა ზხედავთ ტეილუბო,
კრემლი ჩამომდის ღერადა!
წადით, წაიღეთ ამავეი,
არ გაღუხეიოთ შარადა.
უხსარიოთ, ნუ დამივიწყებს,
ქალია ტურჟა ტანადა:
ნეტავი თუ ვაგონდები?
მეკი ესულდგმულბო ძალადა.

ს დამიანი, რომელიც მეზავროსს სამხრეთ ამე-
რიკის ქვეყნებში — ბრაზილიისა და გვიანის
ულაბურ ტუეებში, სწორათ წაატყდება წყლის
პირს ევებერთელა გველს, რომელიც ხან განებოერე-
ბული იზლაზნება შუა ღლის მზენუდ, ხან შემოებევე
ნაპირზედ მდგომარე ხეს, ხან კი წვეს ზღვის უბეში,
ისე რომ მხოლოდ თავი ამოუყვია კიდებე. ის გა-
ნირჩევა სხვა ქვეწარმავალებს შორის მითი, რომ
კარგი ტურვა იცის და მისი უზარ-მაზარი ტანი სხვა-
და-სხვა ფრათ არის აქრელებული; ამიტომაც ის ძა-



ლიან ადგილი საცნობია. იმას ეძახიან წყლის გვე
ლენასს, ანუ ანაკონდას.

პირველ შეხედვაზე, როცა ანაკონდა უძრავად
გდია და ზარმაცობით სთვლემს, ასე გვეგონება, ამა
სულდგმულს—თეწი იქნება, თუ ფრინველი, ანუ
ოთხფეხი, სულ ერთია, რომელიც მიუახლოვდება
საშიშარს მტერს! ეს ქვეწარმავალი თვალებიდან

ცეცხლს აფრქვევს გარშემო. აი, ის მიაშტერდა
წყალს... დაიძრა, მისი ტანის რგოლები ატოკდენ
და ნელ-ნელა ჩამოეშვენ ძარს. უცებ ელვასავით
ჩაეარდება გველეშაპი წყალში, მაგრამ ისევ მალე გა-
მოჩნდება; ევებერთელა ღლავი ტყუილად ცდილობს
თავი დაიხსნას გველეშაპის მძლავრ რგოლებიდან...
ამ ნაირათვე ნადირობს ის ფრინველებზედ და ოთხ-
ფეხზედ: შვლებზედ, გარეულ თხებზედ და ღორებ-

ზედ. ამბობენ, რომ ანაკონდა შეგედეს აგრეთვე მოზრდილ და ღონიერ ოთხფეხსაცო, მაგალითად კამქს, ცხენს და სხე., მაგრამ ეს არ უნდა იყოს მართალი.

ანაკონდა აღამიანსაც არ ერიდება. ბუნების მეცნიერი შობაშური გვიამბობს შემდეგ შემთხვევას. ეს ამბავი მოხდა გვიანში; ერთი ინდოელი თავის ცოლით წავიდა ნავით წყალზედ სანადიროთ. მან მოკლა გარეული იხვი და დაუწყო ძებნა შაშაში. უეცრათ უზარმაზარი ანაკონდა დაეცა და მკლავრათ შემოებნია. მისდა საუბედუროთ თოფი და სხვა იარაღიც ნაფში დარჩენიდა. მონადირემ დაუყვირა ცოლს, არიქა დანა მოამაწოდო. ცოლი მაშინვე მიეშველა, მაგრამ დახე უბედურებს, ისიც ვაგებუ გველის რგოლებში. ბედზედ ინდოელმა რათიციქნა გინთავისუფლა ცალი ხელი და რამდენჯერმე ჩაჭრა მტერს დანა; გველი შემინდა, უშვა რგოლები და გაიქცა.


მეორე ბუნების მეცნიერი ბეტსი გვიამბობს, რომ ანაკონდამ კინაღამ გადალუპაა ერთი ინდოელი ბავში, რომელიც თავის მამას წაყოლოდა ხილის მოსაყრევით. მამას რომ არ მიესწო, ბავში უშეველად დაიღუპებოდა.

გუმბოლტიც აგრეთვე გვარწმუნებს, რომ ანაკონდა საშიშოა აღამიანსთვის, განსაკუთრებით წყალში მობანავე ინდოელებისთვის. ეს ადელი დასაჯერებელია, რადგანაც ანაკონდა ხან-და-ხან სიგძით ნ საყენზედ მეტი გაიხდება. ამას გარდა მისი

მოკლაც ისე ადელი არ არის. თავიც რომ მოჭრა, გაუტრო და გაატყაო, მაინც კიდევ ინძრევა. მაგრამ რაც უნდა იყოს, ამ ქვეწარმავალზე ნადირობა საშიში არ არის. პრინცი მაქსიმოლიანი, რომლის ამბებაც დასაჯერებელია, გვარწმუნებს, რომ უზრალა საფანტითაც შეიძლება ანაკონდის მოკლა, ინდოელები კი ხოცვენ მას ისრებით და კეტებითაც. როცა გვალვა დადგება, წყლის გველეშაბი ჩაძვრება გამჭრალ ზღვის ქვიშაში და იძინებს; მაშინ ის სრულებით აღარ არის საშიში.

როცა პრუსიის პრინცი ადალბერტი მოგზაურობდა ბრაზილიაში, ერთხელ თავის ზღმებულებიანა ნავით მიდიდა მდინარე ცხოზედ. უეცრად დაინახა ნაპირზედ ევრცხლის რგოლივით მშხინავე გველი. ეს იყო ანაკონდა. ნაფი მიაყენეს ნაპირს და გრაფ ორიოლამ ესროლა ქვეწარმავალს თოფი უღში. მაშინვე გველი გაიქცა და ცდილობდა რამე ნიართ და მალულყოც ტყეში მონადირეები გამოუდგენ უკან. გრაფი პირველი დაეწია და მეორედ დაჭრა, მაგრამ ქვეწარმავალი მაინც საქარათ მისოსავდა და თან მიჰყავდა გრაფი, რომელიც ზურგზე დააწვა მას გასაჩერებლათ. ბოლოს მოასწოა გრაფ ბისმარკმა და ერთი სროლით დაუშხებია ქვედა ყბის ძელები. ყველას ეგონა, გველი მოკვდაო, მაგრამ ის ისევ მოცაცხლდა. ძლივს მეორე თოფას სროლით მოკლეს. როცა გამოზომეს, სიგძით იყო ორი საყენი და ერთი მეოთხედი, სიგანი თოთხი ევრშოკი.

—ლი



ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა



მაზედ უსიამოვნო არა არის რა, როდესაც რაიმე სამეცნიერო სავანია გამოსაკვლევით და მისი მავიერად, რომ პირდაპირ კეთილშობილურად შეგედანონ თქვენს საბუთზედ, სხვა უფრო ახალი და უფრო ბევრით ფაქტებით დაგირთვით თქვენი მოსაზრება და გამოკვლევა, ეინლაც მასკა-ჩამოფარებულები ჩირგვში მიიმალებიან და იქიდან ცელქ ბავშვსავეთ გსვრიან კენჭებს გასაჯერებლად და სალოზლანდაროდ, თან გაიმეორებენ ისეთს გაცეითილს სიტყვებს და აზრებს, რომელნიც მათ დაბადებამდის თქვენ უეცე წაგვიკითხათ და ათასჯერ გავგიგონათ. ამის პასუხად სხვა რა გატყმის, მხრები უნდა აიწიო და განშორდეს. სწორედ ასეთის კაცის მდგომარეობაში ვარ მეც ჩაყენებულა, როცა პირველად წარმოთქმულ ჩემშიერ ისტორიულ შემეცნებებს ეინლაც სენუ-ები და Plebs-ები გამომდგარან იეგორის“ ფურკლებზედ და ილიჩებთან. მე, რასაკერაველია, ყუზრადლებსაც არ მივაქცევი ასეთს უმართებულობას,

რომ მათი ნაწარმოები დინჯ იეგორის“ ფურკლებზედ არ იყონ დატყმულნი და ამასთანავე იქ არ იყოს მოყვანილი ისეთი ისტორიული ძეგლი საბუთები, რომელნიც დღემდის კრიტიკულად არაის განურჩევი და ერთხელვე წერილობით გადმოცემულნი სარწმუნოდ მიღებულნი არიან მკითხველთა მიერ. ამის გამო საჭიროა ერაყთ ფორმალურად გამოთქმულნი ჩემ მიერ ისტორიულ-ფილოლოგიურნი მოსაზრებანი იმ საგნის შესახებ განეზარტო, დეასახუთო ისეთი ფაქტებით, რომელნიც დღემდის, რამდენათაც შემისწავლია ჩვენი ისტორიული კვლევა, ჯერ არაის გამოაუთქვამს და ჩვენ ახალგაზნდ ისტორიის მკვლევარათვის საყურადღებო და საინტერესო უნდა იყონ.

ამ წილის „კალი“ ს. № 27 მე დაესტამე მვეის ლაშა გორგის მონოგრაფია, რომელსაც წინ ვაუბძღვანე საზოგადო ისტორიული მიმოხილვა. იქ სხვათა შორის წარმოგოსთქვი ჩემი აზრი:

„აღაზნის ზეობას ფლობენ ქორეპისკოპოსები, რომელნიც ეპისკოპოსებუ იყვენ და მთავრებიც. იმათ ეკირათ ზელში სავრო და სასულიერო უფლება-მეტი“. ცოტა ქვეით

გამოეთქვი მეორე ისტორიული მოსაზრება ლაშა გიორგის შესახებ: ლაშა ითარგმნება ქართულად სხივი, ანუ შუკი და უფროს რულად სახელს აყუხ, ვინ იყის, იქნება ეს სიტყვა (ლაშა) თვით თამარს ჰქონდა პირველი ქმრისაგან ნასწავლი რუსული ენიდან-მეთქი*.

ამ ორივე ისტორიული მოსაზრების გამო დი-ნჯი „ივერიის“ მეტად გაფიტხდა, დამწამა დიდი უმე-ტრება ქართულ ისტორიაში და დასამტკიცებლად ჩემის უმეტრებისა მოიყენა საბა-სულხან ორბელია-ნის ლექსიკონიდან შემდეგი განმარტება:

„ქორ-გისკოპოსი, უმეტარსა მწერალსა ქართლის ცხოვ-რებაში გაუტყვიანა, ქორიკოზი ჰქოვამით ქორ-გისკოპოსი ჰქონებოდა, უმსწეროა ენისკოპოსს ეწოდების ბერძულად და ქორიკოზი მეფის მონაცვლეს ჰქვია. ქორიკოზი მონაცვლე მე-ფისა, რომელმან ვერ იკადლოს მეფეს სახელის დებაჲ, არამედ გამოითარგმნების მიყენებაჲ“.

ხოლო მეორე ჩემი ისტორიული შემეცნების დასარღვევად „ივერიის“ მსკა-ჩამოფარებული მცე-ნიერი მკითხავს:

„რად დასჭირდა ნეტა ეს აყუხ-ი გ. წყურთელს, მაშინ, რომელმაც ქართლის ცხოვრებაში სწერია: „ლაშა გიორგი, რომელიც ითარგმნების ა ფ ს რ თ ა ე ნ ი თ ა ქვეყნის მართო-ბლად (ქართ. ცხოვ. გვერდი 389).“

ეს საბჭოთები ოც-და-ხუთის წლის წინათ წამი-კითხება და კიდევ შემისწავლია; მაგრამ სამწუ-ხაროთ „ივერიისა“ არც ერთი ფე საბუთი ხარწმუნოდ არ მიმანია შემდეგი გამოკვლევის ძალით: დეი-წყით სიტყვიდან „ლაშა“. მართლაც „ქართლის ცხოვრებაში“ (1 ნაწილი, გვერდი 298) სწერია: „პირველად შემყრელსა ბედსა და სევსა ზედა ლაშა-სა, რომელიც განმანათლებელად სოფლისა ითარგმა-ნების ზუსტათა ეწიათ“.

რომ დაერწმუნდეთ, რამდენად მოჭორბულია ეს განმარტება „ქართლის ცხოვრებისა“, უნდა ვი-კითხოთ, რა ხალხი იყო აფსარი, ან ცხოვრებად თუ არა სადმე ღვადამიწის ზურგზედ აფსარის ერი თამა-რისა და გიორგი ლაშას დროს?“

პირველად აფსარის მიწიარეზე ღერზედ ისტორიულს ცნობას ვეაძლევს მხოლოდ სკილაქსი კორიანდელი თავის აწერილობაში შაჟის ზღვის პირად მცხოვრებთ შესახებ. ეს იყო ქრისტეს შობამდის ხუთასის წლის წინად. მას აქეთ თამარ მეფის დრომდე თითქმის ათას რვაჯი წელი გავიდა და ამ ხალხზე არავითარი ის-ტორიული ცნობა თამარის დრომდე აღარ მოიძი-ეებოდა; მას აქეთ, ესე იგი ჰეროდოტიდან ჩვენ დრომდე, თითქმის ორი ათას ხუთასი წელი გა-ვიდა, ბევრი ისტორიული ხალხი გადავიკვალა და მათ შორის აფსარინცა, რომელთა ადგილთარი წე-რილობითი ნაშთი არ დაუტოვებიათ შემდეგი დრო-ისათვის. მაშ საიდან მოხდა, რომ თამარის დროის ქართველმა მატკანემ შეიტკა, ან იცოდა აფსარუ-ლი ენა? თუ კი თვით ხალხის სახსენებელი ათას წლის წინათ გაჰქრა, ვიდრე მემატკანემ ცხოვრებდა და მისგან არამც თუ წერილობითი საბუთი, არა-მედ ეპარც ალარ დაჩრხნილა, თუ კი დღევან-დელ მეცნიერებას ისიც ევრ გამოუკვლევია, რომ სკილაქსის მიერ მოხსენებული აფსარნი რომელი გვიგრაფიული შემოსახორეულს წინადგვებ ცხოვ-რებულან, რათგავიკო მეცამეტე საუკუნის მემატკა-

ნემ იმათი ენა?.. ცხადია, რომ ეს მ. ქორბეული უნ-და იყოს, და უფრო სადვიჭრებელია, რომ იგია შეთ-ხზული მეთვამევე საუკუნის ქართველ მვისტორია-თოვან.

მეექვსე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ პროკო-პოისი იხსენებს ასილებს, მაგრამ ვინ არიან ეს ასილები, ან ჰქონდათ რამე შთამომავლობითი ნა-თესავება ძველ ჰეროდოტის დროის აფსარებთან? არაივინ იყის.

ერთი შესანიშნავი ამბავი კია ჩვენ დროში: დღეს სევანები უწოდებენ აზხაზებს ახსარებად. მაგრამ როგორც ვიცით, თამარის დროში აფხაზებს თავისი სახელი ერქვათ და ქართველები სევანებად არ იხ-სენიებდენ აფხაზებს. ესეც ვიცით, რომ ჩვენ დროის სევანების ახსარებას და ჰეროდოტის ახსარებას შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც დღესა და ლაშეს შუა, იმედი მაქვს, ამის უარს „ივერიის“ მეცნიერებებიც ვერ იტყვიან.

აი, ბატონებო, ის საბუთები, რომლის ძალი-თაც „ქართლის ცხოვრების“ დამოწმება სრულად სიმართლეს უნდა იყოს მოკლებული.

რაკი წერილობითი ისტორიული საბუთები, ამ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ, სხვა აღარსად მო-იპოვება, მაშ დავრჩენია მხოლოდ ფილოლოგიური გამოკვლევა, რომელმაც მხოლოდ უნდა მოჰქონოს ნათელი ამ უცნაურს ამბავს.

ხოლო შედარებითი ფილოლოგიური კვლევა აი, რას გვესწავებს: არის გერმანული სიტყვა Licht — სინათლე. ექვად წარმოებს მეორე სიტყვა Lüschen — სინათლის გაქრება. ამ სიტყვებს უდრიან სლოვენუ-რი აყუხ—სხივი,

ლათინური — Lux (lucis) — სხივი აგრეთვე — Lacteus — ბრწყინვალე, თეთრი ბერძნული — Like — ნათელი ლიტატური — Linksta — ნათელი ძველი ირლან-დიული — Lathe — სინათლე, დღე. ძველი ინდო-იური — — Laks-mi — ბრწყინვალეა.*)

და თუ გნებავთ „ივერიელების“ მიერ დაწუწე-ბული სომხური სიტყვებიც მიუმატრათ—ლუსინაც სხი-ვისანია, მთვარიანი, ლუსინ—მთვარე, ლუის—სინა-თლე. ყველა აქ წებოთ მოტანილი სიტყვებს და „ლა-შას“ უნდა ჰქონდეს ერთი სათავე.

აი, ჩემი გამოკვლევა ამას ამტკიცებს. ვინც წე-ნაღმდებია ამ გამოკვლევისა, ის პარადოქსებით და ღრეკაობით, ან ვაცუვით მოჭორბულ ამბებით კი არ უნდა ასაბუთებდეს თავის აზრს, არამედ იმან უნდა დაამტკიცოს, რომ გრიმის ძირითადი კანონ-ი ფილოლოგიურის მეცნიერებისა, რომელსაც ეწო-დება Lautverwandlung — ხმთა ვადამქნა — სიტყუვა, ან არა და ჩემი აქ მოტანილი გამოკვლევა არ არის

*) იხილეთ Compendium der vergleichenden grammatik der Indogermanischen sprachen, bearbeitet von Ebel, Leskien, Schmidt und Aug. Schleicher pp. 99, 250, 311, 1869 r. Weimar.

მოხდენილი თანხმად შემოხვედრის კანონი. ჯერ ჯერობით ეს კანონი შედარებითს ფილოლოგიის მეცნიერებას უტყუარ საბუთად მიანია. იმედია, ივერიელების* ბავშური საღაღობო მეთოდი ვერ შესძლებს ამის დარღვევას.

აი, ასეთი განხილვა ის საბუთები, რომლებზედაც მე დავამყარე ჩემი მოსაზრება სიტყვის „ლაშას“

განმარტების შესახებ და ვაძაბებ კიდევ: „ლაშას“ განმარტება მოჭარბებულია აფსარული ეხიან და არ უნდა იყოს წარმოებული, ანამედ უფრო ძველ სლოგანურ, ანუ უკეთ ვთქვათ, არაუდ, ინდო გერმანულ ენებში უნდა გამოეყენებოდა მისი ფესვი. *)

გ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)



კრედიტი და მისი მნიშვნელობა

ჩვენა ხალხს კვანძობაჲა მტკაძარებას წარმატებასთვის

Земля одинъ изъ факторовъ производства и основаніе народнаго богатства. (გონომიური აქსიომა)
„Ничегого обшество не можетъ пользоваться процвѣтаніемъ и быть счастливымъ, есая большинство членовъ его бѣдно и несчастно.“
ა. სმითი.

(შემდეგი *)

სხლა ჩენი საკითხავია, რა უნდა ეილონოთ, რომ ზემოდ ჩამოთელილი ცუდი მოკლენანი მთლად თავიდან ავიცილოთ, ან არა და ის მაინც მოიგვეგაროთ, რომ ამ მოკლენათა ცუდი შედეგები შევამკიროთ, მათი შედეგადეგება შევასუსტოთ, ე. ი. ჩენი უნდა ვანგმარტოთ, თუ რა ზომების საჭიროა, რომ მიწათ-მფლობელობის დასუსტება შევაჩეროთ. რა ეშუდლება საკომლო მამულების, ანუ ნადელების სიმკირეს, როგორ ვაეუოჭარბოქსოთ დღევანდელი ძალზედ დაქვეითებული მეურნეობა და, დასასრულ, რა იარაღით უნდა ეიბრძოდეთ სავაზო კრედიტის (ростовщич. кредитъ) დასაბრუნველად.

ჩენი ფიქრით, ჩენის ხალხის კეთილდღეობის შემაჩერებელი, მისი დამაბრკოლებელი ერთი მთავარ მიზეზთაგანი ვაქალეთ ის გარეშეება, რომ ჩენი სოფელი სრულიად მოკლებულია საკრედიტო დაწესებულებებთა. შესაფერი სასოფლო კრედიტის უქონლობა არის მიზეზი იმისა, რომ თავად-აზნაურობას და ვაჭარებულ გლეხებსაც მამულებია ზედადას გქვლება და ამას კი, როგორც ეივით, ზემოდ თქმულად, მაღო მოსდევს ბევრი ცუდი შედეგები, თუ დროით არ შევიდევით თავი და საჭირო თავდარიგს არ შეუდევით ე. ი. თუ სოფელს კრედიტი არ ვაუჩინეთ, კრედიტის უქონლობადე არის ერთი მიზეზი სასოფლო მეურნეობის დატეკვობასა. თეთი სოფელს იმოდენა შეძლება არა აქვს, რომ ფული მოახპაროს თავის მამულს, ვანაკარგოს და იმდენად მაღლა ასწიოს მისი წარმოება, რომ იმის წმინდა შემოსავლით ყოველ მკიდრს შეეძლოს ოჯახის გამოკვება, ათასწარის გადასახადს გაუძღვეს და სხ. სხვა წყარო კი, საიდამაც სოფელს შეეძლოს ვაიპართოს ხელი, მას არსად მოკლებება. კრედიტს მტკაჲ მამულებან მკვადრათი, ისაც ის მნიშვნელობა აქვს, რომ თუ კრედიტის წყალობით ჩენი მი დამყარდა საზიანი სისტემა მეურნეობისა, მაშინ მიწის თეთი სიმკირეც ისე საკრწობელი არ იქნება. კარგი იქნება,

როგორც ახლა, რა თქმა უნდა, თეთი სახელმწიფომ იზრუნოს ამ მხრივ—მიუზომოს, როგორც უკვე ესთქვით, ცალიერი სახელმწიფო ადგილები უძამული და მკირე ვამულიან გლეხს, მაგრამ რაც ჩენი ხელთ არ არის, იმის შესახებ ჩენი შეგვიძლია სურვილი მხოლოდ გამოავსადლოთ და მეტი არაფერი. დასასრულ, იმავე კრედიტის უქონლობის გამო, თავად-აზნაური, თუ, გლეხი იღებს სხვა-და-სხვა საჭიროებათათვის გაღს მთავანსკას უღმერთო სარგებლით და შემდეგ თან-და-თან უსხლტება მას ფეხი და ვარდება იმისთანა ვამოუსვლელ მდგომარეობაში, რომ იგი იძულებულია საუკეთესო კრძი თავის ნაღვე-წაწმობისათვის მოვალეს არგუნოს და თეთიან კი რჩება სელ-ცალიერი. ზემოდ მოკვანილობა მავალითებმა ჩენი ნათლად დაგვანახეს, თუ რა სინთელში და უბეღურებაში ვარდება გლეხი, როდესაც იგი სესხულობს ფულს კრძი პირთაგან. მოვანშეობის მოსასაზობად ვაცილებით უკეთეს საშუალებათ, ვიდრე მისი ახალი კანონი, რომელიც „კვალის“ წინა ნომერში მოვიხსენეთ, მიგვჩია, ვარდა რასაკვირველია სახალხო მეურნეობის წარმატებისა, საზოგადო და სოციალურ სწავლა-განათლების ვაერცლებიანა, წერილი კრედიტის სხვა-და-სხვა დაწესებულებათა ვაერცლებია ჩენს სოფლებში. ჩამოთელილ შემხევეათა ვარდა გლეხს მზირად სხვა დროსაც ესაჭიროება კრედიტი, მაგ. სახელმწიფო თუ საზოგადო ვადასახადელებს ვადასატურებლად, მეტადრე მაშინ, თუ ამ ვადასახადებს თხოულობდენ იმ დროს, როდესაც გლეხის ფული სრულიად არ მოცემება; ან კიდევ, მაგასალიან წლებში. სწორად ნაკვეთა, რომ გლეხკაცობა იოლათ წავიდეს უკრედიტოთ, ფულის უშრემელად სავლესობა და სასოფლო ნაკენება. დილ, კრედიტს ბევრი შესულობა და მისი მნიშვნელობა მრავალვარია, მეტადრე ჩენი დროში, არას დროს კრედიტს არ ჰქონია ისეთი დიდი ვავლენა და ასპარეზი, როგორც აწინდელ ცხოვრების ვარემოებებში. ყოველი თანამედროვე განთითებულო სახელმწიფო ვართოდ სარგებლობს მით, და ერთი უპირველეს ადგილთაგანი დაუთმობა მისთვის. დღევანდელ დღეს კრედიტში, როგორც ქსელში, ისე ვამშულა

*) ეს ჩემი ვამოკვლევა დასტამბული იყო, როცა „ივერიის“ № 193 ზეჲ ვანაშვილის შეხენება, მისი „ქართული ენა“ წავითხოვე. ლაზხე შენიშვნა ძალიან სასიამოვნოდ დამხრა, იგი ცოტადენს ნათლს ჰქვენს ამ ჩემ ვამოკვლევას, თუ რომ იქაც ლაშას ვანმარტება მოჭარბებული არ არის. იგი სოფლებითაც არ უწინადდებება ჩემი გერმანოკვლას ახრს. მე ამითი კიდევ უფრო ვრწმუნდები, რომ ჩენს ქართულს ენას არიოულს, ან ინდო-გერმანულს ენებში უნდა ჰქონდეს სათავე, ხილა აღხაზური ენა კი საკუთრად ქართულთა ტომის ენებს უნდა ეკუთვნოდეს.

) იმ. კვალის 37-ით

თითქმის ყოველი მხარე სოციალურ და პოლიტიკურ ცხორებისა. დღეს ვერც ერთ ღიღ საქმეს ვერ დიწყებთ, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადკამით ისე, რომ კრედიტის საქიროება არ იგრძნოთ. ავიღოთ, თუნდ ჩვენი ქალაქები. აქ არც ერთი დიდი საქმე, როგორც მაგალი. ცენის რკინის გზა, მიღებით წყლის გამოყენება და სხ. უკრედიტოთ, უსესხოთ, არ გაკვთებულა. რუსეთში ერობანი, სხვა-და-სხვა საზოგადოებანი, მაწარმოებელნი, თვით სახელმწიფო, — ყველა ცხენი უფროს-ერთ შემთხვევაში მიპართავენ კრედიტს, მისი წყალობით იწყებენ, აწარმოებენ სხვა-და-სხვა საქმეებს; აღებმიცემობენ, დაწყებული საქმე წარმატებაში შეტყაით და სხ. ზოგი საქმე კი იმისთანაა, რომ მისი შესრულება დიდის ხარჯების გამო ყოველად შესაძლებელია უკრედიტოთ, უსესხოთ. იუროდულ პირობებს, როგორც მაგალი. სახელმწიფო, ქალაქი, ერობა და სხ. რომ თავი დაეცნებოთ, ჩვენ ეტე-

დეთ ხშირად, რომ ყოველი კერძო კაცი, რომელსაც განუზრახავს რომელიმე საქმის რიგიანად და ვრცელნიადგზედ წარმოება, უჭვეულად მიმართავს იმეკრედიტს, იმე სესხს, როგორც იმ გვარსაშუალებას, რომელსაც შეუძლია თივდაპირველად საქმე გახალხოს, ხელი გაუშვართოს, მართლაც ნამდვილი შემწეობა აღმოაუჩინოს მის მწარმოებელს. ხოლო, როდესაც ჩვენ კრედიტით ვსარგებლობთ, ყოველთვის ერთი პირობა უნდა გვხსოვდეს: კრედიტის (სესხის) საშუალებით შემენილის შემოსავალი უნდა აწარბედდეს გასავალს იმ სესხისას, რომელიც რომლისაშე საკრედიტო დაწესებულებიდან ავიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტი არამც თუ სასარებლობა, არამედ მას დიდი ზარალიც მოაქვს. ამ სახით, კრედიტის სარგებლობა, თუ მიენებლობა დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ, ან რა მიზნით სარგებლობს მით კაცი.

(შემდეგი იქნება)

სახუმარო გასართომი

ივანეა და გოჯასპირ

გოჯასპირ. რა ამბავია, ივანეა?... რათა სარგებუ დაღერებოდა? ეს ერთი გეირანა, შენ აღარ გგეირანია?

ივანეა. რაგზა არა ვარ გეირანე. თავში უხსიაკო შემძირა და მოსკოვსაგან არ მამდეკის, არც დღე მატეს ძალი, არც ღამე.

გოჯასპირ. ვაი თუ ბუხი გადაუღაქე..

ივანეა. ბუხი რომ გედექოდა, შე გეკვიდოდა შეცდომი და წელეგამდის სულეი რაგზა გეკვიდოდა?... მარა ეს რაგზა თუაქრო შემოკრდა თავში, ბუხის და ბუხისა... მინსიკანეს და მინსიკანესა...

გოჯასპირ. ნამდეკილად ბუხი ყოფილა, მაგრამ აღბად ცხვირადან შემძირალა და შიგ ტეინში ამოუყუდა თავი.



გოჯასპირ.

ივანეა.


ივანეა. დაქსესესია, ბატონო გოჯასპირ; სტრუთი გუნებაზე არ ვარ. რაგსესი თქმა მინდა და ვერ მოამისერებია.

გოჯასპირ. სთქვი ბარემ და გადაგიუდეს. გამორკე თაქიდან გეოხური ბუხია, თუ ბუხი, როგორც თქვენ იმერლები ვრახანს ეძახით.

ივანეა. ასოე ქო.. თუკესმა თქვათ, სათქმელი ბუკირი მატეს, მარა ბირი წელათა მატეს სამსკოა.

გოჯასპირ. ქოთა... ცხონდა მამაშენი? მშ

გოჯასპირ. ნამდეკილად ბუხი ყოფილა, მაგრამ აღბად ცხვირადან შემძირალა და შიგ ტეინში ამოუყუდა თავი.



მიყვარს და შემყვარებია ჩონგურის სიმთა ელრიალი. ცისკრისა გარიგრაგზუნდა აღმოსავლეთზედ ციალი. წყაროეო, შენი სილოდე, კლდეზედ ჩამოჩხრიალი. ჩონგური, წყაროს წკრიალი შენს სიცილოს მავინენოა;

ცისკარი შენსა სახესა, ჩემთვის დღის გამთენებელიო. ცისკარი დღეს უწინამძღერებს, წყაროა ამშვენებს არესა. ღამე გავიღოს, რო გნახე ხმელეთის დასადარესა. ტანი ყაყაროს მივიგავეს, პირად ვაღარებ მივიარესა...

სამი კაცის ფსი ყვევილი

(თარგმანი)

I



რადე კლერგილია ის იყო მიათხოვა თა-
ვისი ერთად ერთი ქალიშვილი იოლანდა
მარკოზ დე კერგუეს, რომელიც იყო ძველ-
ბურჲ დიდებული ბრეტანის ოჯახის შთამომავალი.
დაფელილ ტაძრის კარებში მოჩანდა საკურთხეველი,
უხვზე მოართული სანთლებით და ყვავილებით; ყვავი-
ლებითვე მოართულ ტაძრის შესავლს მოადგა მეფე-
დედოფალი და ამავე დროს ატყდა ზარების
რეკა. ჰაერი სასიამოვნო სუნწელებით იყო აღსი-
ლი, პატარა ჩიტუნები მზიარულად კიკეკობ-
დენ. მზის სხივები ოქროს შარაყანდნდათ დასდგო-
მოდა თავზედ მარკოზს და მის ახალგაზდა საცო-
ლოს, რომელიც თეთრი კაბით და საქორწილო ლე-
ჩაქით მოაგონებდა ადამიანს ციურ ანგელ ოზს. კეთილ-
შობილი მარკოზი ეგრე კი აშორებდა საყვარულით
სასეე თვალებს ამ შეწეიერ ქალის სახეს.

სოფლის მცხოვრებლები მოართულიყვენ სადღესა-
სწაულო ტანისამოსებით და ყოველ მათგანს ხელში
ეჭრა სხვა-და-სხვა ფერი ყვავილები; ყველა სიყვარულით შესტკეროდა მეფე-დედოფალს და აღტაცებით ულოცავდა: „ღმერთმა გააბედნიეროს ქალბატონი იოლანდა! ღმერთმა გააბედნიეროს ბატონი მარკოზი.“

კლერგილის ტაძარი იდგა მალალ მთაზედ; ამ მთას შეუყვებოდა მიხეველ-მოხეველი ბილიკი; ღარიბი თუ მდიდარი, დიდებული თუ უბრალო, ყველა ადიოდა საყდარში მხოლოდ ამ ბილიკით, რომელსაც სოფლის მცხოვრებლებმა დაარქვეს სახელათ „გზა სამოთხისა“.

მზიარული მაყრიანი ჩამოდიოდა ამ ბილიკზედ და გორის ძირთან მათ უცდიდენ ეტლები.

მარკოზს ძლიან იამა, რომ შეიტყო, რა რიგი სიყვარული და პატივის ცემა დაუმსახურებია მის ცოლს სოფლელების თვალში და ნაზად წასჩურჩულო მას: „დახე, ჩემო სულო, რა ძვირფასი ხარ მათთვის: მე დარწმუნებული ვარ, რომ გულში ყოველი მათგანი მენდურის, რომ ეტაცებ შენისთანა გულყვილს ანგელოზს“.

პასუხის მაგიერათ იოლანდამ მზიარულათ შეხედა ქმარს, მერე მიუბრუნდა მამას და უთხრა: „რა შეწეიერი ამიდა დღეს! მოდი, მამავ, სახლამდის ქვეითათ მივიდეთ?“

მამას სასიამოვნოდ დაურჩა თავის საყვარელი შვილის სურვილი უკანასკნელად აესრულებინა და ღიმილით უპასუხა:

„დილაღ ჩემო მტრედო, თუ კი ენებებ!“ ამ ნი-
რათ ახალ ჯეარ დაწერილნი ცოლ-ქმარნი ფეხით წაივდენ, მათ უკან მოსდევდა ქვეითად ახალგაზდობა, უფრო ხნიერნი კი ეტლებში ჩასხდენ და ისე მისდევდენ.

იოლანდა და მისი ქმარი ჩერდებოდენ ყოველი ღარიბი ქონის კარებთან, სადაც ისხდენ მოხუცი და უძლურნი, რომელთაც არ შეეძლოთ ქორწინებას დასწრებოდენ, მაგრამ სულით და გულით კი ენაბრებოდენ ერთხელ კიდევ მოეკრათ თვალი იოლანდასთვის. ეს უკანასკნელი ცდილობდა ყველასთვის ესიამოვნებინა ან ტკბილი სიყვით, ან ღმილით. სამაგიერათ მრავალი სუსტი და აკანკალებული ხმა ლოკით იხსენიებდა მის სახელს.

მაყრიონმა მიადწია ბილიკის ერთ მიხეველს; აქ უეცრათ მას გზა გადუღობა ვილაც კაცებმა, რომელთაც მოქქანდათ მიცვალებული ყმაწვილი ქალი, მღებარე საკაცეში.

თუმცა იდგა ზაფხული და მთელი ბუნება ყვავდა, მაგრამ მიცვალებულის კუბო არ იყო მორთული არც ერთი გვირგვინით და არც ერთი ყვავილი არ აშევენებდა მის უბრალო, თეთრ საბურავს. კუბოს ნელი ნაბიჯით მოსდევდა ღარიბათ ჩაცმული კაცი, რომელსაც სახეზედ მიფერა ჭედები; ეს იყო ერთად ერთი ქირისუფალი საბრალო მიცვალებული. საკაცე რომ მოქანდათ, იმათ უნდოდათ გზა ეტიათ, მაგრამ ქირისუფალმა აწია თავი და მიაშტერდა ახალგაზდობას, რომელთ მდიდრული ტანთ-საცმელი და წხიარული სახის გამომეტყველება მის მწუხარებასთან შეურაცხყოფად მიანდა.

— გაიარეთ, ჩახლენილი მხით დაიყვრა მან და მისი მწუხარებით დამანჭული სახე თითქმის გულში ამზობდა: ნეტავ ახლა თქვენი თავი მომცა ფეხქვეშ გასათელავადო.

ამ დროს გრამმა წადგა წინ ფეხი და სთქვა: დავემორჩილოთ სიკვდილს, მივდკეთ განზე და გაუშვათ ეგენი!

მაშინვე ყველა დავემორჩილა მისს ბრძანებას და მიცვალებული ატარეს; კაცებმა მოიხადეს ქულები და ქალები კი პირჯვარს იწერდენ. იოლანდამ რომ დაინახა მიცვალებულის ნაზი სახე, ღრმა სიბრალოდობა გაუარა გულში, წყნარათ ამოიღო თავის საქორწილო ყვავილების კონდიან ერთი აყვავებული შტო და დღეა კუბოზედ. ქირისუფალმა შენიშნა მას ეს მოძრაობა და სახეზედ სიამოვნება დაეტყო, მაგრამ მალე ისეე მიიფერა თვალეზედ ხელები და მწარე ქეთინი დაიწყა.

— ეინ არის ევ კაცი? იკითხა გრაფმა.

— ევ ეინლაც უტბო კაცია, მიუგეს პასუხათ. ეს ორი სამი დღეა, რაც მოვიდა აქ და მოიყვანა თავისი მომავლადეი და, რომელიც, ეტყობოდა, რომ გაეგებებით უყურა: როცა ის მოუკვდა, ევ თითქმის შეიშალა, იწყევლებოდა და მუშტით ემუჭრებოდა ზეცას.

მაყრიონი უახლოედებოდა გრაფის სახლს. იმ დროს მიკვალბულიც მიახედენს საყდრის კარებთან, საცა ქორწილის ნიშნად ასე უხედდ იყო ყვავილები ჩაბნეული.

— ეინ იყო ის ყმაწვილი ქალი? იკითხა ქირისუფაღმა.

— იოლანდა და კლერგილი, უპასუხეს მას.

— ღმერთმა გააბედნიეროს!

II

გაიარა ოცმა წელიწადმა. პარიჟში დადგა შიშანობა. ეანდეს ომი საშინლათ ეაცხარდა; კონვენტმა ეაგზენა ნანტში თავისი წარმომადგენელი, რომ ყოველგვარი ღონისძიებაქმნაზო მეფის მომხრეების დასამარცხებლად. კონვენტის ბრძანების ძალით წარმომადგენლმა კარიემ დაატუსაღებინა მრავალი საიჭუო ხალხი. თუმცა ყოველ დღე ხალხი ათასობით ისჯებოდა სიკედილით, მაგრამ სატუსაღო მანინც ეატენილი იყო.

დიდ ზალაში კარიე ასამართლებდა ტუსაღებს; ბრალდებულებს ყურსაც არ ათხოვებდა ხოლმე თავის გასამართლებლად.

წამის-წამს იძახოდა! „დაისაჯოს სიკედილით“.

— ანრი დე კერკუე! დაიძახა სასამართლოს ბოქალმა და წინ წადგა ახალგაზდა თერამეტის წლის ყმაწვილი კაცი; იმან ისე ზრდილობიანათ დაუჯრა თავი კარიეს, თითქო ეერსალის სახლში ეარო სანადიმოთ მიპატიეებული. ეტყობოდა, მომავალი სიკედილი მას სრულებით არ აშინებდა.

— თქვენ გვაშებენ, ეითომ თქვენ რესპუბლიკის მტერი იყუეთ და ეანგეზრაზოთ ჩემი მოკვლა! ეკაცრად ჰკითხა კარიემ.

— თქვენ მამა მომიკალით და რა საეკირველი იქნება, მე რომ სისხლი ავიღო.

— ანარი! მოისმა შესაბრალო ქალის ხმა.

კარიემ სიბრაზით მიმოაბრიადა თეალები, როცა წაიყვანეს ანრი დე კერკუე. შემდეგ მსაჯულის წინ წარსდგა ორი ქალი.

— თქვენ იმ ყმაწვილის დედა ხართ? ჰკითხა მან უფროსს...

— დალ, და ეს მისი და ეაბლავთ,

— თქვენი სახელი?

— იოლანდა დე-კლერგილი, მარკიზადე-კერგუე. მსაჯულმა ერთს წამს მიაშტერა მას თეალი და მერე მოკლეთ სთქვა: „სამიეე დაისაჯოს სიკედილით“.

უბედურები შეჰკრეს საითთაოდ და წაიყვანეს ციხეში. მეორე დღეს ისინი უნდა წაეყვანათ ლუარის მდინარეზედ, რომ იქ აესრულებინათ მსაჯულის გადაწყვეტილება.

მწარი ფიქრებით მოელოდა უბედური მარკიზა თავის შეილებიანა მომავალ სიკედილსა. უტებოთაზში შემოვიდა ციხის დარაჯი და დააბირა ახალგაზდა ქალის თან წაყვანა.

— ოა! რასთვის ეცაზორებთ ერთმანეთს? მწყუხარებით სთქვა დედა.

— ასე ბრძანა კარიემ! — მოკლეთ უპასუხა დარაჯმა. ბეერს ტირილსა და ხევენას შემდეგ ყმაწვილი ქალი მოკილდა თავის დედას და ძმას და ეაჰყუა დარაჯს, რომელმაც მიიყვანა ის მსაჯულთან. როცა დარაჯი ეავიდა, კარიემ წყნარათ ჰკითხა ქალს: „რა ექვია შენ“?

— იონანდე-კერგუე.

— ძალიან ეციყვარს დედა?

— დალ ბატონო — მიუგო იონანმ, რომელიც მთლათ ეანკალბებდა შიშისგან.

— ძმაც ძალიან ეციყვარს? რას მიცემდი, რომ შეგძლებოდა იმათი სიკედილისგან დახსნა?

— ჩემ საკულთარ სიციოცხლეს.

— მე სრულებითაც არ მსურს შენი სიკედილი, რამდენი წლისა ხარ?

— თექვსმეტისა, ბატონო.

— მამ შენ ეჯრ სიციუე არ ეეციოდინება. ეამიგონე, აი, წვილი, რომელსაც ეაძლევ ემ პირობით, რომ აი ეახსნა შეულამემდის. აგრეთეე შენ არ უნდა უთხრა ეს არავის. დამპირდები თუ არა? კარგი, მამ წადი.

შეშინებულმა ქალმა აიღო წერილი და უბემში ჩაიდგა. შემდეგ წაიყვანეს ისეე დედასა და ძმასთან. იონანმ ეერკ ცი მოასწრო ეამზო რაიმე დედისა და ძმისთვის. უტერად შემოვიდა ეილაც კაცი დამაზიით და უბრძანა მათ, რომ თან წაყოლოდენ.

მან მოკიდა ხელი იონანს და წაიყვანა ეიწრო და ბნელ ქუჩებზედ; უკან მისდევდა ანრი, რომელსაც მიყავდა თავისი გულშეუფლებული დედა. როცა მივიდენ წყლის სიბრას, უტერათ ეამოზნდა ნაეი, რომელშაეც იჯდა ერთი კაცი. „ჩაუეკით!“ ჩუმად წარმოსთქვა მან. როდესაც ბრძანება დასრულეს, ნაეი დაიძრა.

— გამწნედი, დიკო! წასწორებულა დას ანრიმ და ჩიკრა გულში.

ამ მოკლე ხანში იმათ მოიგონეს მთელი თავისი სიცოცხლე, ბევრნი ბედნიერი და უმანკო ცხოვრება და აგრეთვე უბედურება, რომელიც მათ დაატყდათ თავზედ ამ უკანასკნელ დროს.

უცხათ გამოჩნდა დიდი გემი, რომელთანაც ნავი მივიდა საშინელი სიჩქარით: დედა და შვილები ჯერ კიდევ არ გამოარკვეულობდნენ, რომ უცებ გემზე აიტაცეს ისინი; მენავე კი მიაჭროლებდა წაეს ისევე ნაპირისკენ.

— ეს რას ნიშნავს? გავივრებთ იქითხა ანრიმ.

— მას, რომ თქვენ გადარჩით სიცილილს, უპასუხა გემის პატრონმა.

— გადავრჩით! მერე ვინ გადავვარჩინა?

რამოდენისავე საათის წინ მე მივიღე ფული და აგრეთვე წერილი, რომელშიდაც ეწერა, რომ მე მომიკლნა სამი მგზავრისთვის. ისინი უნდა გამეზღვა-რონ ინგლისში. თუ ამიღი დაგვიღვა, წამს დღეს იქით ჩვენ მივაწვეთ იქ.

— რომელი საათია? იქითხა ივონამ.

— პირველის ნახევარი, ქალბატონა.

საჩქაროთ ამოიღო ივონამ კარიეს მოცემული წიგნი და წაიკითხა: ქალბატონს იოლანდა-დეკლერვილს.

— ეს შენთან არის, დედა, მიუბრუნდა ივონა დედას.

მარკიზამ გადასცა წასაკითხავათ ანრის და მან ხმა მალლა წაიკითხა:

„ამ ოცის წლის წინად, თქვენი ჯვარის წერის დღეს თქვენ დადევით ერთი ყუვილის შტო ჩემი დის კუბოზელ. ის იყო თექვსმეტის წლისა. მე მსურს გადავიხადოთ სამავიროა და იმ ყუვილის მაგიერათ მიჩუქებია თქვენთვის სამი სიცოცხლე. კარიე.“

ელიკო.

მკითხველთა საყურადღებოთ



მორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთი „კვალის“ საშუალებით მადლობა გამოუტყვადოთ მარია მკონსტანტინეს ასულს მხედისას და სიმონ ლევანის ძე იოსელიანს, რომელთაც დიდი შემწეობა აღმოაჩინეს ჩვენს ლარიზ წყალტუბის სამკითხველოს. პირველმა, მარია მკონსტ. ასულმა მხედისამ, დაუკვეთა თავის ხარჯით საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ და წლისა და კვლავაც აღვითქვა დიდი შემწეობა ამ ჟურნალის ყოველ წიგნი დაბარება. მეორემ კი, სიმონ ლ. იოსელიანმა, კეთილ-ინება და შემოგვწერა 52 ქართული და რუსული წიგნები:

გამგე სამკითხველისა მღვ. იუსტინე ფანცხავა.

რედაქტორ-გამომცემელი ახ. თ.-წერეთლისა.

განცხადებანი

კვირას 19 სექტემბერს დილის 11 საათზე, თავად-აზნაურთა ბანკის სადგომის დარბაზში მოხდება

წლიური კრება

ქართველთა ღრამატულ საზოგადოების წევრთა:

საგანნი განხილვისა:

- 1, წლიურა ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა.
- 2, მომავლის წლის საეარაუღო ხარჯთ-აღრიცხვა.
- 3, ამორჩევა კომისიებისა.
- 4, ამორჩევა ახალთა წევრთა.

საბალანსო წარმადება

„როკვმი“

მისილ სტუდენტს მის ბეთანიშვილისა

ქ. ბათუმში.

ამ ბალში მოკვეთ ცხელი ქვეყნების, ორანჟერის და სხლის მოსართავი მცენარეები. აგრეთვე ისყიდება იმათი ნერგები და ყუვილებების ძირები.

რადგან ქ. ბათუმში ცხელი, თითქმის ტროპიკული ჰავაა, ამისგან ბეთანიშვილის ბალში მოკვეთ და უფლიან ძირფუს ტროპიკულს მცენარეებს, რომელნიც ჩრდილოეთის გრილ ჰავაში არ ხარობენ და მსურველთ შეუძლიანთ მათ გემონების საშებრ მოიპოვონ ყოველწლიან ამგვარი მცენარეები, რომელნიც ოთახის თბილ ჰავაში ხარობენ.

ბეთანიშვილის ბალში არის ამ ქაშად ორასი ჩანის ვარდისა, ბურბონისა, რემონტატევისა და სხვა ნაირი ვარდების ნერგები. ხეხილის ნერგები საუკეთესო რუსეთის დეკორაჰის ვარდისა, ორისა და სამიწლისა, ფიჭველი და ლიბანოს კედრის მგზავსი ხეების ნერგები; ჩირაგველი მცენარეები ყოველგვარნი, რომელნიც მუდამ მწვანობენ, ანუ რომელთაც ზამთრბოძით ფოთლოლი სცივათ.

სია ამ მცენარეებისა დაბარებისათაწვე უფასოდ იგზავნება.

მარიამ ივანის ასული

დემურისა

განწესდა ტვილისის მესამე განყოფილების საქალაქო ბუბიით და დგას ტრიბუნის პრეტულეაში № 9.